საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000040392677720

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **31** **05 / აგვისტო / 2020 წ.**

განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ყვარელწყალში მდებარე 22 ერთეულ გარეგანათების ბოძზე, ერთეულზე 5 სანტიმეტრიანი მონაკვეთის შპს „მაგთიკომი“- სთვის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ)“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. **მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ყვარელწყალში მდებარე 22 ერთეულ გარეგანათების ბოძზე, ერთეულზე 5 სანტიმეტრიანი მონაკვეთის შპს „მაგთიკომი“- სთვის, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა.**

2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით 22 ერთეული გარე განათების ბოძებზე, ერთეულზე 5 სანტიმეტრიანი მონაკვეთის, სულ ერთი მეტრი და ათი სანტიმეტრი გრძივი მეტრის სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური- **50.0** (ორმოცდაათი) **ლარის** ოდენობით.

   - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა -3 წელი.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ხელმოწერილია/
ელექტრონულია